

ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი თეთრაული
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	gtetrauli@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (400)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2023 წ. 20 თებერვალი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2023 წ. 20 თებერვალი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2023 წ. 20 თებერვალი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
<p>ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი ასახავს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის ფასებისა და ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით. აღნიშნული ინდექსი მიიღება იმპორტის ფასების ინდექსისა და ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაერთიანებით.</p>	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
<p>ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსის სტრუქტურა შეესაბამება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკატორის (Statistical Classification of Products by Activity – CPA 2008) ევროპულ სტანდარტს.</p>	
3.3. სექტორის მოცვა	
<p>CPA 2008-ის შესაბამისად მოცულია შემდეგი სექციები: სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავება (სექცია B), დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია (სექცია C), ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი (სექცია D) და წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით (სექცია E).</p>	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით; • ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით; • ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი 12 თვის საშუალო 12 თვის საშუალოსთან. 	
3.5. სტატისტიკური ერთეული	
<p>დაკვირვების სტატისტიკური ერთეული არის ქვეყნის ტერიტორიაზე სამრეწველო პროდუქციის იმპორტიორი საწარმო და ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმო, რომელიც სამრეწველო პროდუქციის რეალიზებას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე.</p>	
3.6. სტატისტიკური პოპულაცია	
<p>ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ფასის რეგისტრაციისათვის დასაკვირვებელი პროდუქტის შერჩევა ეფუძნება საწარმოთა სტატისტიკის მონაცემებს სამრეწველო</p>	

<p>პროდუქციის სახეების მიხედვით ღირებულებით გამოსახულებაში. ქვეყნის მასშტაბით დასაკვირვებელი იმპორტიორი ორგანიზაციების შერჩევა ხდება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე.</p>
<p>3.7. საანგარიშო არეალი</p>
<p>ფასების შეგროვება ხდება ქვეყანაში იმპორტირებულ და ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოს მიერ ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).</p>
<p>3.8. დროის მოცვა</p>
<p>2020 წლიდან.</p>
<p>3.9. საბაზო პერიოდი</p>
<p>წინა თვე, წინა წლის შესაბამისი თვე, წინა 12 თვის საშუალო.</p>
<p>4. ზომის ერთეული</p>
<p>ინდექსი.</p>
<p>5. საანგარიშო პერიოდი</p>
<p>თვე.</p>
<p>6. ინსტიტუციური მანდატი</p>
<p>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</p>
<p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p>
<p>6.2. მონაცემთა გაზიარება</p>
<p>-</p>
<p>7. კონფიდენციალურობა</p>
<p>7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა</p>
<p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მემკვიდრით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა
<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა
8.1. გამოქვეყნების კალენდარი
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
ყოველთვიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს-რელიზები
პრეს-რელიზი მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსების შესახებ ყოველთვიურად ქვეყნდება საქსტატის ვებ-საიტზე. მასში მოცემულია ყოველთვიური და წლიური მონაცემები და ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები. რელიზი ასევე მოიცავს სხვადასხვა ჭრილში ფასების დინამიკას გრაფიკის სახით. პრეს-რელიზი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=7
10.2. პუბლიკაციები
-
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/27/mtsarmoebelta-da-importis-fasebis-indeksi
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგია განთავსებულია სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები,

სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: <ul style="list-style-type: none">• სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის დეფლირების პროცესში;• კერძო და სახელმწიფო სექტორში სხვადასხვა კონტრაქტის ინდექსაციისთვის;• ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისა და მკვლევარებისთვის, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი. ინდექსის ძირითადი მომხმარებლები არიან: საჯარო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევარები და სტუდენტები, მედია საშუალებები და სხვა დაინტერესებული პირები.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია კვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
13.2. შერჩევითი ცდომილება
ინდექსების შერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. არსებული ერთობლიობიდან კვლევის მიზნით გაკეთებული შერჩევის მოცულობა ოპტიმალურია, კვლევის მიზნებისა და შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
ინდექსების არაშერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. ამ სახის ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ინდექსის გაანგარიშების ეტაპი მოიცავს კონტროლის რამდენიმე დონეს.

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 19-22 რიცხვში.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
ფასების შეგროვება ხდება ქვეყანაში იმპორტირებულ და ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოს მიერ ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაზე. ფასების შეგროვებისა და ინდექსის გაანგარიშების პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიას და მასთან სრულ შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ყველა რეგიონში ფასების შეგროვება ხდება ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების შესადარისობას ქვეყნის შიგნით.
15.2. შესადარისობა – დროში
ინდექსები შესადარისია მთელი პერიოდისთვის.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
ინდექსები შესაბამისობაშია საწყის მონაცემებთან – ინდექსები აგრეგირებულ დონეზე მიიღება უმცირესი დონის ინდექსების საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის მეშვეობით.

16. დანახარჯები და დატვირთვა
ფასების სტატისტიკური გამოკვლევების წლიურმა ბიუჯეტმა (მოიცავს როგორც სამომხმარებლო, ისე მწარმოებელთა და იმპორტის ფასებს) 2023 წელს შეადგინა 255 200 ლარი.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა

მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2022 წელს არ მომხდარა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

ადგილობრივი მიწოდების მწარმოებელთა ინდექსი მიიღება ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსისა და იმპორტის ფასების ინდექსის გამოყენებით. იმპორტის ფასების ინდექსის შემთხვევაში, ფასი რომელზეც ხდება დაკვირვება წარმოადგენს მითითებულ პერიოდში ორგანიზაციის მიერ იმპორტირებული პროდუქციის საიმპორტო, ე.წ. cost, insurance and freight (c.i.f) ფასს. საიმპორტო ფასი მოიცავს: საქონლის ტრანსპორტირების ღირებულებას და საქონლის იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე მიტანის მომსახურების ღირებულებას. იმპორტის ფასების ინდექსში c.i.f ფასები გამოიყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციით. ქვეყნის მასშტაბით დასაკვირვებელი იმპორტიორი ორგანიზაციების შერჩევა ხორციელდება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე. შერჩევაში ხდება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკატორის (CPA) კლასში შემავალი პროდუქციის იმპორტიორი ორგანიზაციები შერჩევითი წესით. ორგანიზაციების შერჩევის შემდეგ ხდება მათი გამოკითხვა CPA კლასში იმპორტირებული საქონლის განსასაზღვრად. ამ მიზნისათვის შერჩეულ იმპორტიორ ორგანიზაციებს ეგზავნებათ დამატებითი კითხვარები, სადაც მოეთხოვებათ მიუთითონ გასული წლის განმავლობაში CPA კლასში მათ მიერ იმპორტირებულ იმ ოთხი ყველაზე დიდი წილის მქონე პროდუქტის დასახელება, რომლის იმპორტი გრძელდება საანგარიშო წელსაც, შესაბამისი ზომის ერთეული, ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება იმპორტი, და თითოეული პროდუქტის იმპორტის პროცენტული წილი შერჩეულ CPA კლასში. ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის შემთხვევაში, ფასების ინდექსის გაანგარიშებისათვის პირველად მონაცემს წარმოადგენს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ფასები, რომელიც მოიპოვება ყოველთვიური გამოკვლევის შედეგად. ფასების შეგროვება ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ საწარმოებში გამოშვებულ პროდუქციაზე. ფასი, რომელზეც ხდება დაკვირვება, წარმოადგენს მითითებულ პერიოდში საწარმოს მიერ წარმოებულ სამრეწველო პროდუქტზე დაწესებულ გასაყიდ ფასს. ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშებისთვის დასაკვირვებელი ფასი არის წარმოებული პროდუქტის ფასი საწარმოს კართან და არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, აქციზს და ტრანსპორტირების ხარჯებს. ფასის რეგისტრაციისთვის დასაკვირვებელი პროდუქტის შერჩევა ხორციელდება მთლიან ადგილობრივ გამოშვებაში მოცემული პროდუქტის წილის მიხედვით. პროდუქტის შერჩევა ეფუძნება საქმიანობის სახეობათა პროდუქციის სტატისტიკურ კლასიფიკაციას (CPA). შერჩევისათვის გამოიყენება საწარმოთა სტატისტიკის მონაცემები სამრეწველო პროდუქციის სახეების მიხედვით ღირებულებით გამოსახულებაში. როგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასები ინდექსის შემთხვევაში, პროდუქტების შერჩევის პროცესში ზუსტდება და მაქსიმალური დეტალიზებით აღიწერება მათი მახასიათებლები. ფასების რეგისტრაციის დროს სპეციფიკაციების ზედმიწევნით დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რათა ყოველთვიურად დარეგისტრირებული ფასთაშორისი სხვაობა გამოწვეული იყოს მხოლოდ ფასის ცვლილებით და არა პროდუქტის ან მისი მახასიათებლების ცვლილებით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წლის განმავლობაში ხორციელდება შერჩეული პროდუქტების ფასების რეგისტრაცია. საქონლისა და პროდუქტების შერჩევის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად. 2023 წელს შეგროვდება 5 029-მდე ფასის მონაცემი 1 496-მდე ორგანიზაციაში.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ერთსა და იმავე თარიღში, 1-დან 8 რიცხვის ჩათვლით პერიოდში.

18.3. მონაცემთა შეგროვება

იმპორტირებული და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ფასების რეგისტრატორების მიერ. იმპორტირებული პროდუქციის შემთხვევაში, იმპორტიორის მიერ კითხვარში ფიქსირდება შერჩეული 4 პროდუქტის ზომის ერთეული, პროდუქტის წარმომავლობის ქვეყანა, საბაზო, საანგარიშო და წინა თვის ფასები. ასევე, კომენტარის ველში კითხვარში მიეთითება ფასის ცვლილების მიზეზი ან სხვა კომენტარი. ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის შემთხვევაში, საწარმოს მიერ კითხვარში ფიქსირდება შერჩეული 4 პროდუქტის ზომის ერთეული, საბაზო, საანგარიშო და წინა თვის ფასები. ორივე შემთხვევაში ელექტრონული კითხვარი ივსება ონლაინ-რეჟიმში. საწარმო კითხვარს ავსებს დამოუკიდებლად ან რეგისტრატორის დახმარებით. ონლაინ-კითხვარები განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

<http://database.geostat.ge/portal/ent/index.php>

კითხვარების ნახვა ასევე შესაძლებელია საქსტატის ვებ-საიტზე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/557/questionnaires-fasebis-statistika>

18.4. მონაცემთა კონტროლი

მონაცემთა კონტროლი ხორციელდება 2 ეტაპად:

პირველ ეტაპზე კონტროლი ხორციელდება ფასების რეგისტრაციის სავსე სამუშაოების პარალელურად. ფასების ცვლილებისას კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელ პირს ევალება კომენტარის საშუალებით ფასის ცვლილების მიზეზის მითითება. რეგისტრირებული მონაცემების ცენტრალურ ოფისში წარდგენის შემდეგ ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ლოგიკური კონტროლი შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ.

მეორე ეტაპზე ფასების სისწორის გადამოწმება ხორციელდება მთელი ინდექსის გაანგარიშების შემდეგ. ინდექსი საიმედოდ ითვლება ზემოაღნიშნული კონტროლის ეტაპების გავლის შემდეგ.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი მიიღება იმპორტის ფასების ინდექსისა და ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაერთიანებით.

ინდექსში შემავალი ინდივიდუალური საქონლის წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, რაც ეფუძნება ბიზნეს სტატისტიკისა და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს და ასახავს პროდუქციის წარმოებისა და იმპორტის უახლეს მონაცემებს. მიღებული წონები წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებული პროდუქციის სახეობის ღირებულების წილს ქვეყანაში ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებული (ანუ ადგილობრივად წარმოებული და იმპორტირებული) პროდუქციის მთელ ღირებულებაში. ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსში შემავალი ინდივიდუალური პროდუქტის წონების განახლება ასევე ხდება ყოველწლიურად, რაც ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ წარმოების სტრუქტურას.

ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების ფასების ინდექსის გაანგარიშებისას უმცირესი დონის ინდექსს წარმოადგენს თითოეული ორგანიზაციის მიერ იმპორტირებული/წარმოებული ინდივიდუალური პროდუქტისთვის გაანგარიშებული ინდექსი. პროდუქტის უმცირესი დონის ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით მიიღება საანგარიშო (t) და საბაზო პერიოდების ფასების ფარდობით. ფასების გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გამოითვლება ლასპერესის ტიპის ფორმულით. მოკლევადიანი ინდექსი წინა თვესთან შედარებით მიიღება ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გაანგარიშებული საანგარიშო და წინა პერიოდის გრძელვადიანი ინდექსების ფარდობით. პროდუქტის საანგარიშო t პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება t-2 პერიოდის მონაცემები. წონების ყოველწლიური განახლების დროს შეიძლება შეიცვალოს ინდექსში შემავალი პროდუქციის ჩამონათვალიც.

პროდუქციისა და საწარმოების შერჩევის ან პროდუქტის სპეციფიკაციების ყოველწლიური განახლების პერიოდში, დეკემბერში, მიმდინარეობს ფასების შეგროვება როგორც ძველ, ისე ახალ შერჩევაში მყოფი პროდუქციისთვის, რაც განსხვავებული შერჩევისთვის გაანგარიშებული ინდექსების ჯაჭვური გადაბმის საშუალებას იძლევა. წონების ცვლილების მიუხედავად, ინდექსების ჯაჭვური გადაბმით შესაძლებელია ინდექსის გაანგარიშება გრძელვადიანი საბაზო პერიოდით.

შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში აღარ ხორციელდებოდეს იმავე ხარისხის პროდუქციის იმპორტი ან იმავე ხარისხის ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქტის წარმოება ადგილობრივი საწარმოს მიერ, რომლის ფასებზეც ხორციელდებოდა დაკვირვება. ახალ და ძველ

პროდუქტებზე დარეგისტრირებული ფასების შესადარისობისთვის საჭიროა ხარისხობრივი ცვლილების კორექტირების მეთოდის გამოყენება, რისთვისაც ხდება პირობითი საბაზო ფასის გაანგარიშება რამდენიმე მეთოდის გამოყენებით.

გარდა ამისა, თუ საანგარიშო პერიოდში რომელიმე ორგანიზაციის მიერ არ დაფიქსირდა კონკრეტული პროდუქტის ფასი, მაშინ ინდექსის გაანგარიშებისას გამოიყენება იმპუტაციის ორი მეთოდი: ზედა დონის ჯგუფის ინდექსის გამოყენება, ან პროდუქტზე წინა პერიოდის ფასის გამეორება.

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი

-